ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №67

30 მარტი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გოგოლესუბნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, აკაკი ყაჭეიშვილის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, მის პასუხისმგებლობაში არსებული აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გოგოლესუბნის ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებულის, აკაკი ყაჭეიშვილის სხვა თანამდებობაზე გადასვლის გამო, მის პასუხისმგებლობაში არსებული აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– გია გიორგაძე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

– ვალერი ყაჭეიშვილი – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ქონების მართვის საკითხებში;

– ზურაბ შათირიშვილი – ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი;

– რუსუდან კოტრიკაძე – დაბა ჩოხატაურის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი;

– თენგიზ ცენტერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი;

2. დაევალოს კომისიას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გოგოლესუბნის ტერიტორიულ ორგანოში მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლის გამო, მის პასუხისმგებლობაში არსებული აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარება.

3. კომისიამ ორი დღის ვადაში უზრუნველყოს აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტის წარმოდგენა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*